

ISET

International School of Economics at TSU
Policy Institute



ოქტომბერი

2022



ელექტოენერჯიის ბაზრის მიმოხილვა

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი ენერჯეტიკისა და გარემოს დაცვის პოლიტიკის კვლევითი ცენტრი

აკტორები:

მარიამ ნულუკიძე
უფროსის მოადგილე

✉ m.tsulukidze@iset.ge

გურამ ლობჯანიძე
მკვლევარი

✉ guram.lobzhanidze@iset.ge

ერეკლე შუბითიძე
მკვლევარი

✉ erekle.shubitidze@iset.ge

მნიშვნელოვანი ინფორმაცია

- 2022 წლის ოქტომბერში ელექტროენერჯის გამომუშავება წლიურად 13%-ით შემცირდა, ხოლო თვიური მაჩვენებელი, ასევე, 13%-ით შემცირდა.
- ელექტროენერჯის მოხმარება წლიურად 6%-ით შემცირდა, ხოლო თვიური მაჩვენებელი - 3%-ით გაიზარდა.
- მოხმარებამ გამომუშავებას 44 მლნ კილოვატსაათით გადააჭარბა, რაც 2022 წლის ოქტომბრის თვის სრული წარმოებისა და მოხმარების 4%-ია.
- ოქტომბერში განხორციელდა 86 მილიონი კილოვატსაათის იმპორტი.
- ოქტომბერში ექსპორტი არ განხორციელებულა.
- 2022 წლის ოქტომბერში საქართველოს მთავარი საიმპორტო პარტნიორი რუსეთი იყო.
- იმპორტის ფასი 6,99 ცენტი, ან 19,47 თეთრი იყო ერთ კილოვატსაათზე.
- 2022 წლის ოქტომბერში, საქართველოს ელექტროენერჯის წარმოების ბაზრის HHI ინდექსი კვლავ მნიშვნელოვნად კონცენტრირებული ბაზრის ზღვარს ზემოთ დარჩა და ინდექსის მნიშვნელობა 3 304-ს გაუტოლდა.
- საქართველოს ელექტროენერჯის მოხმარების ბაზრის HHI მნიშვნელოვნად კონცენტრირებული ბაზრის ზღვარს ქვემოთ დარჩა. 2022 წლის ოქტომბერში ინდექსის მნიშვნელობამ 1 929 შეადგინა.

შემოკლებები

მლნ	მილიონი
კვტსთ	კილოვატსაათი
ჰესი	ჰიდროელექტროსადგური
თესი	თბოელექტროსადგური
HHI	ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი
თელმიკო	თბილისის ელექტრომიწოდებელი კომპანია
ეპ ჯორჯია	ეპ ჯორჯია მიწოდებისთვის
საქსტატი	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
ესკო	ელექტროენერჯეტიკული ბაზრის ოპერატორი


წარმოება – მოხმარება – ვაჭრობა

2022 წლის ოქტომბერში საქართველოს ელექტროსადგურებმა ჯამში 1,034 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერჯია გამოიმუშავა (დიაგრამა 1). აღნიშნული მაჩვენებელი, წინა წელთან შედარებით, სრული წარმოების 13%-იან კლებას წარმოადგენს (2021 წლის ოქტომბერში სრული წარმოება 1,192 მილიონი კილოვატსაათი იყო). წარმოების წლიური კლება თბოელექტროსადგურების (-25%) ქარის ელექტროსადგურებისა (-17%) და ჰიდროელექტროსადგურების (-11%) გამომუშავების კლებამ განაპირობა.

თვიურ ჭრილში, წარმოება, დაახლოებით, 13%-ით შემცირდა (2022 წლის სექტემბერში სრული წარმოება 1,194 მილიონ კილოვატსაათს გაუტოლდა) (დიაგრამა 1). წარმოების თვიდან თვემდე კლება თბოელექტროსადგურების გამომუშავების კლებამ გამოიწვია (-51%). ქარის ელექტროსადგურების (+6%) გამომუშავება გაიზარდა, ხოლო ჰიდროელექტროსადგურების გამომუშავება იმავე დონეზე შენარჩუნდა.

ელექტროენერჯის მოხმარებამ ადგილობრივ ბაზარზე 1,078 მილიონი კილოვატსაათი შეადგინა (6%-ით ნაკლები 2021 წლის ოქტომბერთან შედარებით და 3%-ით მეტი 2022 წლის სექტემბერთან შედარებით) (დიაგრამა 1). 2022 წლის ოქტომბერში ენერჯის წარმოებამ მოხმარებას 44 მილიონი კილოვატსაათით გადააჭარბა, რაც სრული წარმოების 4%-ს და სრული მოხმარების 4%-ს შეადგენდა (2021 წლის ოქტომბერში წარმოებასა და მოხმარებას შორის დადებითმა სხვაობამ 44 მილიონი კილოვატსაათი შეადგინა, რაც თვის განმავლობაში სრული წარმოების დაახლოებით 4%-ს და სრული მოხმარების 4%-ს გაუტოლდა).


დიაგრამა 1 - ელექტროენერჯის მოხმარება და გამომუშავება



წყარო: ესკო

წარმოების უდიდესი წილი ჰიდროელექტროსადგურებზე (ჰესი) მოდის. 2022 წლის ოქტომბერში ჰესების მიერ ელექტროენერჯის წარმოება 872 მილიონ კილოვატსაათს გაუტოლდა (სრული წარმოების 84%), ქარის ენერჯის წარმოება 8 მილიონ კილოვატსაათს (სრული გამომუშავების 1%), ხოლო თბოელექტროსადგურების (თესი) გამომუშავება კი 154 მილიონ კილოვატსაათს, გაუტოლდა (სრული გამომუშავების 15%) (დიაგრამა 2).


დიაგრამა 2 - ელექტროენერჯის გამომუშავება წყაროების მიხედვით



წყარო: ესკო

ჰიდროელექტროსადგურებს შორის მსხვილმა (მარეგულირებელმა) ჰესებმა ელექტროენერჯის 57% გამოიმუშავა (495 მილიონი კილოვატსაათი), ხოლო სეზონურმა და მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურებმა, შესაბამისად, – 33% (293 მილიონი კილოვატსაათი) და 10% (84 მილიონ კილოვატსაათი) (დიაგრამა 3).

დიაგრამა 3 - ჰიდროელექტროსადგურის გამომუშავება ტიპის მიხედვით




წყარო: ესკო

ელექტროენერჯის ბაზრის მიმოხილვა | გამომუშავება, მოხმარება, ვაჭრობა

თბოელექტროსადგურებს რაც შეეხება, გარდაბანი 1-მა გამოიმუშავა 116 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერჯია (თბოელექტროსადგურების გამომუშავების 75% და ჯამური გამომუშავების 11%), ხოლო გარდაბანი 2-მა გამოიმუშავა 33 მილიონი კილოვატსაათი (თბოელექტროსადგურების 21% და ჯამური გამომუშავების 3%). თბოელექტროსადგურების გამომუშავების დარჩენილი 3% გამოიმუშავა აირტურბინამ (დიაგრამა 4).


დიაგრამა 4 - დიდი თბოელექტროსადგურების წილი მთლიან გამომუშავებაში



წყარო: ესკო

რაც შეეხება ჰიდროელექტროსადგურებიდან (ჰესი) წარმოებულ ენერჯიას, ვარდნილჰესმა 72 მილიონი კილოვატსაათი ენერჯია გამოიმუშავა (მარეგულირებელი ჰესების მიერ გენერირებული ენერჯიის 15% და სრული წარმოების 7%). ენგურჰესმა 370 მილიონი კილოვატსაათი გამოიმუშავა, რაც მარეგულირებელი ჰესების მიერ გენერირებული ელექტროენერჯიის 75%-ს და სრული წარმოების 36%-ს შეადგენს (დიაგრამა 5).


დიაგრამა 5 - ენგურისა და ვარდნილის წილი სრულ გამომუშავებაში



წყარო: ესკო

საერთო ჯამში, სრული გამომუშავება 2021 წლის ოქტომბერთან შედარებით 13%-ით შემცირდა (დიაგრამა 6).

დიაგრამა 6 - გამომუშავების ზრდა (% წ/წ)




წყარო: ესკო

ელექტროენერჯიაზე მოთხოვნა შემდეგნაირად გადანაწილდა: ენერგო-პრო ჯორჯია/ეპ ჯორჯია¹ (32% – 344 მილიონი კილოვატსაათი), აფხაზეთი (20% – 214 მილიონი კილოვატსაათი), თელასი/თელმიკო² (21% – 226 მილიონი კილოვატსაათი) და პირდაპირი მომხმარებლები (27% – 292 მილიონი კილოვატსაათი) (დიაგრამა 7). მოთხოვნა ენერგო-პრო ჯორჯიასა და თელასი/თელმიკოსგან 2021 წლის ოქტომბრის ანალოგიურია, ხოლო პირდაპირი მომხმარებლებისგან და აფხაზეთისგან, შესაბამისად, 8%-ით და 16%-ით შემცირდა. საერთო ჯამში, 2022 წლის ოქტომბერში ელექტროენერჯის მოხმარებამ წლიურად 6%-ით ნაკლები შეადგინა 2021 წლის ოქტომბრის მოხმარებასთან შედარებით (დიაგრამა 8).

¹ ენერგო-პრო ჯორჯიამ 2017 წლის სექტემბერში კახეთი ენერჯი დისტრიბუშენი შეიძინა.


² 2021 წლის ივლისიდან, ელექტროენერჯის ბაზრის ახალი მოდელის შემოღების შემდეგ, განაწილებისა და საბოლოო მიწოდების ფუნქციები გაიმიჯნა. შედეგად, მივიღეთ სამი ტიპის მოთამაშე ბაზარზე: განაწილების ლიცენზიანტები - განაწილებაზე და განაწილებისას არსებულ დანაკარგზე პასუხისმგებლები; უნივერსალური სერვისის მიმწოდებლები - საყოფაცხოვრებო სექტორისა და მცირე კომპანიების მომარაგებაზე პასუხისმგებლები; და საჯარო სერვისის მიმწოდებლები - საშუალო და მსხვილი კომპანიების მომარაგებაზე პასუხისმგებლები. ამჟამად ენერგო-პრო ჯორჯია და თელასი ანაწილებენ ელექტროენერჯიას, ხოლო ეპ ჯორჯია და თელმიკო მათ გამოეყვნენ და ორივე გახდა უნივერსალური და საჯარო სერვისის მიმწოდებელი.

დიაგრამა 7 - ელექტროენერჯის მოხმარება მომხმარებლის ტიპის მიხედვით



წყარო: ესკო

დიაგრამა 8 - ელექტროენერჯის მოხმარების ზრდა (% წ/წ)




წყარო: ესკო

2022 წლის ოქტომბერში საქართველომ 86 მილიონი კილოვატსაათის იმპორტი განახორციელა (მაშინ, როცა 2021 წლის ოქტომბერში 8 მილიონი კილოვატსაათის იმპორტი განხორციელდა) (დიაგრამა 9). იმპორტის 99% რუსეთიდან შემოვიდა, ხოლო დარჩენილი ნაწილი - აზერბაიჯანიდან. 2022 წლის ოქტომბერში საქართველოდან ექსპორტი არ გასულა (2021 წლის ოქტომბერში 5 მილიონი კილოვატსაათი ექსპორტი განხორციელდა) (დიაგრამა 10). 2022 წლის ოქტომბერში განხორციელდა 282 მილიონი კილოვატსაათის ტრანზიტი აზერბაიჯანიდან თურქეთში და 70 მილიონი კილოვატსაათის ტრანზიტი რუსეთიდან თურქეთში (2021 წლის ოქტომბერში განხორციელდა 153 მილიონი კილოვატსაათის ტრანზიტი რუსეთიდან თურქეთში და 115 მილიონი კილოვატსაათის ტრანზიტი აზერბაიჯანიდან თურქეთში).


2022 წლის ოქტომბერში იმპორტი 10-ჯერ გაიზარდა 2021 წლის ოქტომბერთან შედარებით (დაბალი ბაზის ეფექტი), ხოლო ექსპორტი საერთოდ არ განხორციელდა.

დიაგრამა 9 - იმპორტი წლების მიხედვით



წყარო: ესკო


დიაგრამა 10 - ექსპორტი წლების მიხედვით



წყარო: ესკო


2022 წლის სექტემბერში იმპორტი არ ყოფილა, ამიტომ თვიურ დინამიკას ვერ შევადგასებთ (დიაგრამა 11). ხოლო 2022 წლის ოქტომბერში, როგორც ზემოთ აღინიშნა, ექსპორტი საერთოდ არ იყო (დიაგრამა 12). ზედიზედ 5-თვიანი პროფიციტის შემდეგ, 2022 წლის ოქტომბერი პირველი თვეა, რომელიც გამომუშავება-მოხმარების დეფიციტით ხასიათდება.

დიაგრამა 11 - იმპორტი თვეების მიხედვით



წყარო: ესკო

დიაგრამა 12 - ექსპორტი თვეების მიხედვით




წყარო: ესკო

1. საბაზრო ოპერაციები


2022 წლის ოქტომბერში ადგილობრივ ბაზარზე გაყიდული ელექტროენერჯის 77% პირდაპირი კონტრაქტების მეშვეობით გაიყიდა. დარჩენილი 23% კი – საბალანსო ელექტროენერჯის სახით (დიაგრამა 13).

დიაგრამა 13 - შესყიდულ/გაყიდულ ელექტროენერჯიაში პირდაპირი კონტრაქტებისა და საბალანსო ელექტროენერჯის წილი




2022 წლის ოქტომბერში საბალანსო ელექტროენერჯის შეწონილი საშუალო ფასი იყო 17.1 თეთრი კილოვატსაათზე, რაც წლიური კლების 3%-ს შეესაბამება 2021 წლის ოქტომბერთან შედარებით. რაც შეეხება საშუალო შეწონილ ფასს დერეგულირებული (მცირე სიმძლავრის) ჰესებისთვის, ის 12.4 თეთრს შეადგენდა კილოვატსაათზე, რაც 2021 წლის ოქტომბრის მონაცემზე 1%-ით მეტია (დიაგრამა 14).

დიაგრამა 14 - საბალანსო ელექტროენერჯის ფასების შეწონილი საშუალო და დერეგულირებული ჰესების ფასის შეწონილი საშუალო



2022 წლის ოქტომბერში, გარანტირებული სიმძლავრის ჯამური ხარჯი, დაახლოებით 16.73 მილიონი ლარი იყო, რაც 2020 წლის ოქტომბრის მონაცემზე 7%-ით ნაკლებია. 2021 წლის ოქტომბრის მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი (დიაგრამა 15).


დიაგრამა 15 - გარანტირებული სიმძლავრის ხარჯი



წყარო: ესკო

2022 წლის ოქტომბერში ელექტროენერჯის იმპორტის ფასი 6.99 ცენტი, ან 19.47 თეთრი იყო (დიაგრამა 16). ეს წარმოადგენს დოლარში ფასის 42%-იან ზრდას, ხოლო ლარში კი - 26%-იანს (2021 წლის ოქტომბერში ფასები 4.93 ცენტი, ან 15.47 თეთრი იყო კილოვატსაათზე). 2022 წლის ოქტომბერში არ ყოფილა ექსპორტი, ხოლო 2022 წლის სექტემბერში არ ყოფილა იმპორტი, ამიტომ წლიური და თვიური დინამიკის შეფასება შეუძლებელია.

დიაგრამა 16 - იმპორტისა და ექსპორტის ფასები




წყარო: ესკო

■ იმპორტის შეწონილი ფასი ■ ექსპორტის შეწონილი ფასი


2022 წლის ოქტომბერში ელექტროენერჯის იმპორტის ფასი რუსეთიდან 7.00 ცენტს, ან 19.50 თეთრს, ხოლო აზერბაიჯანიდან 1.67 ცენტს, ან 4.65 თეთრს შეადგენდა კილოვატსაათზე (დიაგრამა 17).

დიაგრამა 17 - იმპორტის ფასები ქვეყნების მიხედვით



2022 წლის ოქტომბერში ექსპორტი არ ყოფილა, ამიტომ, ფასის შეფასებაც შეუძლებელია (დიაგრამა 18).


დიაგრამა 18 - ექსპორტის ფასები ქვეყნების მიხედვით



2. ბაზრის კონცენტრაცია

დაბოლოს, ვიყენებთ ჰირშმან-ჰერფინდალის (HHI) ბაზრის კონცენტრაციის ინდექსს იმის შესაფასებლად, თუ რამდენად კონკურენტუნარიანი იყო წლის განმავლობაში ბაზარზე ენერჯის გამომუშავებისა და მოხმარების სეგმენტები. 2022 წლის ოქტომბერში საქართველოს ელექტროენერჯის გამომუშავების ბაზარი მნიშვნელოვნად კონცენტრირებული დარჩა და HHI ინდექსი 3,304 ერთეულს გაუტოლდა (დიაგრამა 19). აღნიშნული კი 2021 წლის ოქტომბრის მონაცემსა (HHI 3,366 ერთეული) და 2022 წლის სექტემბრის მაჩვენებელზე (HHI 5,184 ერთეული) დაბალია. რაც შეეხება მოხმარების სეგმენტს, 2022 წლის ოქტომბერში HHI მოხმარების ინდექსი მნიშვნელოვნად კონცენტრირებული ბაზრის ზღვარზე დაბლა შენარჩუნდა და მაჩვენებელი 1,929 ერთეულს გაუტოლდა (2021 წლის ოქტომბრის მაჩვენებელზე (1,791) მაღალი და 2022 წლის სექტემბრის მაჩვენებელზე (1,977) დაბალი). რეალურად, 2020 წლის სექტემბერი ბოლო თვე იყო, როდესაც ინდექსის ნიშნული მაღალკონცენტრირებული ბაზრის ზღვარზე მაღალი იყო, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ბაზარზე კონკურენცია იზრდება. მას შემდეგ კი, მოხმარების საბაზრო კონცენტრაციის მხრივ, წლიურად დადამავალი ტენდენცია აღინიშნება (დიაგრამა 20).


დიაგრამა 19 - ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი ენერჯის გამომუშავებისთვის



წყარო: ესკო

დიაგრამა 20

- ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი ენერჯის მოხმარებისთვის



წყარო: ესკო